**დამტკიცებულია**

შპს ოქლიფის სკოლის

დირექტორის მიერ

**შპს ოქლიფის სკოლის**

**კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების**

**სარგებლობის წესი**

## მუხლი 1. შესავალი

1. წინამდებარე დოკუმენტი, არეგულირებს შპს ოქლიფის სკოლაში კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესებს.
2. სკოლის კომპიუტერული სისტემები და ქსელი (კომპიუტერი, ინტერნეტთან წვდომა, პროგრამული უზრუნველყოფა, გარე ხელსაწყოები, ვიდეო კამერები /პრინტერები, სკანერები და ა.შ.) შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

## მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

1. სკოლაში ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სარგებლობის წესის მიზანია:
ა) მოსწავლეთათვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომის, უსაფრთხო და მიზანმიმართული გამოყენების უზრუნველყოფით ხელი შევუწყოთ სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, ციფრული კომპეტენციების განვითარებას და ტექნიკური რესურსების დაცვას.
ბ) სკოლის პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების ეფექტური, მიზნობრივი და უსაფრთხო გამოყენების უზრუნველყოფა როგორც ადმინისტრაციული/სასწავლო, ასევე პროფესიული განვითარების მიზნით.
2. ამოცანები:

- უზრუნველყოს ყველა მოსწავლის თანაბარი წვდომა საინფორმაციო-ტექნოლოგიურ რესურსებზე მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა.
- ჩამოყალიბდეს საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების უსაფრთხოდ გამოყენების წესები, რომლებიც დაიცავს როგორც მოსწავლეებს, ისე ტექნიკას.
- მოხდეს საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების ადმინისტრირება/ გამოყენება ისე, რომ მაქსიმალურად იყოს მორგებული სასწავლო პროცესზე.
- ხელი შეეწყოს მოსწავლეების ციფრული კომპეტენციების განვითარებას თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნების შესაბამისად.
- განისაზღვროს პედაგოგის როლი როგორც ზედამხედველისა და პროცესის ორგანიზატორის.
- სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნება/გამდიდრება
- საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესის

ადმინისტრირებისას;

- ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებისა და საგაკვეთილო მასალის მოსწავლეებისათვის ეფექტურად მიწოდების მიზნით;
- პერსონალის ციფრული უნარების განვითარება თანამედროვე განათლების მოთხოვნებთან შესაბამისად;
- ელექტრონული პლატფორმების გამოყენება სკოლის შიდა პროცესების უკეთესი მართვისა და კომუნიკაციისთვის;
- ინფორმაციის უსაფრთხო შენახვა და გადაცემა, შესაბამისი ეთიკისა და კანონმდებლობის დაცვით.

**მუხლი 3. სარგებლობის ფარგლები**

მოსწავლეებმა უნდა:

- ❖ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერები და ინფორმაციული ტექნოლოგიების მოწყობილობა პატივისცემითა და სიფრთხილით;
- ❖ არ გახსნან საეჭვო ბმულები და ფაილები;
- ❖ საიდუმლოდ შეინახონ პირადი მონაცემები და სისტემაში შესვლის მონაცემები;
- ❖ არ გამოიყენონ სკოლის კომპიუტერები საავტორო უფლებებით დაცული მასალების ჩამოსატვირთად, დუბლირებისთვის, მოდიფიცირებისთვის ან/და გასავრცელებლად (საავტორო უფლებებისა და მასთან დაკავშირებული უფლებების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად);
- ❖ არ გამოიყენონ კომპიუტერები არალეგალური კონტენტის გასაზიარებლად ადგილობრივ ქსელში ან ინტერნეტში;
- ❖ არ გამოიყენონ კომპიუტერები საკუთარი, კლასელების ან მასწავლებლების პირადი მონაცემების (სახელი, დაბადების თარიღი, პირადი ფოტოები) საჯაროდ გავრცელებისთვის (მაგალითად, ინტერნეტის საშუალებით);
- ❖ გაკვეთილის მიმდინარეობისას კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენონ მხოლოდ გაკვეთლის/სასწავლო მიზნის შესაბამისად;
- ❖ დაიცვან გამოყენების დრო (არ დაარღვიონ დანიშნული რეჟიმი).

**მუხლი 4. მოსწავლეების მიერ ტექნიკის ნებადართული გამოყენება**

სკოლა უზრუნველყოფს მაღალ სიჩქარულ ლოკალურ ქსელს და უსადენო ინტერნეტ წვდომას. მოსწავლეებზე გაიცემა პაროლი და მათ შეუძლიათ საკუთარი ხელსაწყოების, ლეპტოპების ან პლანშეტების გამოყენება ინტერნეტთან წვდომისთვისაც,
თითოეულ მოსწავლეს შეუძლია:
ა) ინტერნეტთან წვდომა თავისი ხელსაწყოების გამოყენებით;
ბ) სკოლის კომპიუტერების გამოყენება სკოლის რეგულაციების შესაბამისად;
გ) საკუთარი ხელსაწყოს გამოყენება საკლასო ოთახში (მასწავლებლის ნებართვით) ჩანიშვნების გასაკეთებლად ან კვლევის ჩასატარებლად;
დ) მუშაობა საკუთარი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, თუ ის თავსებადია კლასის მასწავლებლის მოთხოვნებთან.

**მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დაცვა**

მოსწავლეები/თანამშრომლები ვალდებული არიან საიდუმლოდ შეინახონ სხვისი პერსონალური მონაცემები.

**მუხლი 6. ინტერნეტ ქსელში მუშაობის სპეციფიკა**

მოსწავლეებმა უნდა დაიცვან ქსელში მუშაობის ეტიკეტის საზოგადოდ მიღებული წესები. ეს წესები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- იყავით ზრდილობიანი: არასოდეს გააგზავნოთ და არ წააქეზოთ სხვები შეურაცხმყოფელი
  გზავნილების გასაგზავნად.
- გამოიყენეთ სათანადო ლექსიკა: გახსოვდეთ, რომ თქვენ წარმოადგენთ სკოლას. თქვენ შეიძლება მარტო იმყოფებოდეთ თქვენს ხელსაწყოსთან, მაგრამ რასაც ამბობთ ან აკეთებთ, შეიძლება სხვებმა დაინახონ. არასოდეს გამოიყენოთ შეურაცხმყოფელი სიტყვები,
- არ გამოუყენოთ ვულგარული და სხვა მიუღებელი ლექსიკა. ნებისმიერი სახის

უკანონო საქმიანობა აკრძალულია.

- მონაცემთა ხელშეუხებლობა: არავის გაუმხილოთ პირადი მონაცემები.
- ქსელით სარგებლობა: ელ-ფოსტით, ინტერნეტითა და ქსელით სარგებლობაზე შეიძლება ხორციელდებოდეს მონიტორინგი განსაზღვრული პერსონალის მიერ ნებისმიერ დროს.
- არ გამოიყენოთ ქსელი იმგვარად, რომ შეაფერხოთ სხვა პირების მიერ მომსახურებით სარგებლობა.
- მოსწავლეებმა არ უნდა გამოიყენონ სკოლის კომპიუტერული სისტემები ან/და ქსელი საავტორო უფლებებით დაცული ციფრული საშუალებების დუბლირებისთვის, გასაზიარებლად ან/და მოდიფიცირებისთვის საავტორო უფლების მფლობელის ან საავტორო უფლების ადმინისტრაციული ორგანიზაციის პირდაპირი წერილობითი ნებართვის ან მასწავლებლის ან სკოლის პერსონალის ნებართვის გარეშე.

**მუხლი 7. სისტემის კონფიგურაციები**

1. მოსწავლეებმა არ უნდა შეცვალონ სკოლის კომპიუტერული სისტემების (როგორც ტექნიკური, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის) და ქსელის ინსტალაცია და კონფიგურაცია.
2. მოსწავლეებს შეუძლიათ კომპიუტერების გადატვირთვა მხოლოდ მასწავლებლებისა ან სკოლის პერსონალის ნებართვით.
3. მოსწავლეებმა არ უნდა მოახდინო წვდომა სხვა მომხმარებლის ფაილებთან, მათი მოდიფიცირება, წაშლა ან განადგურება.
4. მოსწავლეებმა არ უნდა დააინსტალირონ პროგრამული უზრუნველყოფა სკოლის ნებისმიერ კომპიუტერულ ხელსაწყოზე.
5. მოსწავლეებმა არ უნდა შეიყვანონ ვირუსები, ტროიანული პროგრამები, შეყვანილი მონაცემების დაჭერის პროგრამები  და ა.შ სკოლის კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელში.

**მუხლი 8. მოსწავლეების მიერ ტექნიკური საშუალებების ზოგადი გამოყენება**

მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ სკოლაში მოიტანონ პერსონალური ლეპტოპი/პლანშეტი საგანმანათლებლო ინსტრუმენტის სახით გამოსაყენებლად.

1.მოსწავლეებმა მასწავლებლისგან უნდა აიღონ ნებართვა პერსონალური ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენებამდე საკლასო აქტივობის დროს ან ბიბლიოთეკარისგან - ბიბლიოთეკაში სწავლისას.

2. მოსწავლეების მიერ პერსონალური ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენება მხარს უნდა უჭერდეს აქტივობებს, რომლებიც ხორციელდება ყოველ საკლასო ოთახსა და ლაბორატორიაში.

3. მოსწავლეებმა უნდა გამორთონ და გვერდზე გადადონ პერსონალური ლეპტოპი/პლანშეტი მასწავლებლის მოთხოვნის შემთხვევაში.

4. მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ მიერ ლეპტოპის/პლანშეტის გამოყენებამ შეიძლება ყურადღების გაფანტვა გამოიწვიოს საკლასო ოთახში, განსაკუთრებით აუდიო ჩანაწერის შემთხვევაში. შესაბამისად, აუდიო ჩანაწერების ხმა გათიშული უნდა იყოს, რადგანაც ყურსასმენები არ უნდა იქნას გამოყენებული საკლაქო აქტივობების დროს.

5. ლეპტოპი/პლანშეტი გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ საგანმანათლებლო აქტივობებისთვის.

6. მოსწავლეებმა ყველა გონივრული ზომა უნდა მიიღონ მათი პირადი ტექნიკა დაზიანებისგან დაიცვან.

7. კომპიუტერული კლასის გამოყენება მოხდება წინასწარ გაწერილი რეჟიმით

**მუხლი 9. ზედამხედველობა და პასუხისმგებლობა**

კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება ხდება მასწავლებლის ან შესაბამისი პერსონალის ზედამხედველობით.

ყოველი მოსწავლე იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქცევისთვის ტექნიკის გამოყენებისას.

სკოლა უზრუნველყოფს ტექნიკის პერიოდულ შემოწმებას და საჭიროებისამებრ განახლებას.

**მუხლი 10. თანამაშრომელთა მიერ კომპიტერული ტექნიკის გამოყენების გზები და ფორმები.**

კომპიუტერული ტექნიკა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიზნებისთვის:

1. სასწავლო მიზნებისთვის:

- **ელექტრონული სასწავლო პლატფორმების გამოყენება** (მაგ. Google Classroom,

schoolbook. და სხვა) საგაკვეთილო მასალის ასატვირთად, დავალებების შესაქმნელად და უკუკავშირის მისაცემად.

- **ინტერაქტიული ინსტრუმენტები** (მაგ. Kahoot, Quizizz, Canva, desmos.com, GeoGebra და სხვვა) სწავლის პროცესის გააქტიურებისთვის და მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდისთვის.
- **ვიდეო კონფერენციები** (Zoom, Google Meet და სხვა) დისტანციური გაკვეთილების ან დამატებითი კონსულტაციების გასამართად.

2. პროფესიული განვითარების მიზნით:

- ონლაინ კურსებში/სემინარებში/ტრენინგებში მონაწილეობა.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ვებინარების და ტრენინგების ჩატარება
- ციფრული პორტფოლიოს შექმნა საკუთარი მიღწევების, გაკვეთილების და რესურსების გასაზიარებლად.

3. ადმინისტრაციული მიზნებისთვის:

- **ელექტრონული დოკუმენტაციის მართვა** (Google Drive, OneDrive, SharePoint, schoolbook, სკოლის მეილი) შიდა დოკუმენტაციის შენახვისა და გაზიარებისთვის;
- **კომუნიკაცია კოლეგებთან და მშობლებთან** (ელექტრონული ფოსტის, ჩატების ან სკოლის შიდა პლატფორმის მეშვეობით);
- **Emis-ის ბაზების მართვა;**
- **საბუღალტრო საქმიანობის მართვა;**
- **Open Biblio მართვა.**

**მუხლი 11. თანამშრომელთა მხარდაჭერა:**

ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ტექნიკური მხარდაჭერას და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს ტრენინგებს საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებაში.

**მუხლი 12. წესის მიღება და მასში ცვლილების შეტანა**

1. კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესი მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

2. კომპიუტერებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სარგებლობის წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ მუხლის პირველ

პუნქტში მითითებული წესით.